



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა : 30. 30242779

თ ა რ ი ღ ი : 03/10/2024

**ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს სა კ უ თ რ ე ბ ა შ ი ა რ ს ე ბ უ ლ ი უ ძ რ ა ვ ი ქ ო ნ ე ბ ი ს
(მი წ ი ს ნ ა კ ვ ე თ ი ს) პ ი რ ო ბ ე ბ ი ა ნ ი ე ლ ე ქ ტ რ ო ნ უ ლ ი ა უ ქ ც ი ო ნ ი ს ფ ო რ მ ი თ
პ რ ი ვ ა ტ ი ზ ე ბ ი ს ა ს პ ი რ ო ბ ე ბ ი ს ა და ბ ი ჯ ი ს ს ი დ ი დ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ლანჩხუთში მდებარე 41236 კვ.მ და 282489 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები (№27.06.48.890; №27.06.48.895) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება არანაკლებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის - 2 996949. 46 (ორი მილიონ ცხრაასოთხმოცდათექვსმეტი ათას ცხრაასორმოცდაცხრა ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარის ოდენობით.

2. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 1%-ის ოდენობით - რაც შეადგენს 29969.50 ლარს.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მოაწყოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სპორტული ინფრასტრუქტურა;

გ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, საპრივატიზებო უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განვითარების მიზნით, ამავე

უძრავ ქონებაზე არანაკლებ 4,000,000 (ოთხი მილიონი) ლარის (დღგ-ს გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის სრულად განხორციელება;

დ) საპრივატიზებოდ გამოტანილი მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებული, ს.კ. 27.06.48.022, ს.კ. 27.06.48.132 და ს.კ. 27.06.48.341 რეგისტრირებული უძრავ ქონებებთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 (რვა) თვის ვადაში.

4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 15 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის ვადას.

5. მყიდველი ვალდებულია პირობიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარმოადგინოს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

6. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ყოველი 6 თვისა, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, წარუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების თაობაზე. ინფორმაცია დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი აკრედიტაციის/ლიცენზიის მქონე სუბიექტის დასკვნით.

7. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმითა და ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობები შესრულებულად ითვლება მუნიციპალიტეტის მიერ დადასტურების მომენტიდან. საპრივატიზებო პირობების შესრულების დასტურად წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აკრედიტაციის/ლიცენზიის მქონე სუბიექტის დასკვნა.

8. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე არ აქვს უფლება აღნიშნული ქონების ნაწილი საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობის გარეშე.

9. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება გაასხვისოს უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობებით, რის შესახებაც წერილობით უნდა ეცნობოს მუნიციპალიტეტის ქონების მმართველს.

10. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმითა და ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი სრული

ღირებულების 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით ან/და ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების სხვა პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

11. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ბრუნდება, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, მყიდველს მუნიციპალიტეტი არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და გაწეულ ხარჯებს.

12. ელექტრონული აუქციონის გამოცხადება და ჩატარების ორგანიზება დაევალოს აუქციონატორს (თორნიკე ტიკაძეს).

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართი ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა N26 კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

